

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს უნივერსი-  
ტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქარ-  
თველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი  
მეცნიერ თანამშრომელი*

**ილია ოქრომჭედლიშვილი-სერაბრიაკოვი  
(1838-1898) და XIX საუკუნის II ნახევრის ქართული  
საისტორიო აზროვნება**

XIX საუკუნე გამორჩეული იყო ათასწლოვანი ქართული სახელ-  
მწიფოს ისტორიაში. მან მთელი ეპოქა შექმნა ქართული კულტუ-  
რისა და განათლების, ეროვნული ცნობიერებისა და საისტორიო  
აზროვნების მიმართულებით. ეპოქებს ერთი და ორი ადამიანი ვერ  
ქმნის, ის საზოგადოების დიდი ნაწილის თეორიული და პრაქტიკუ-  
ლი მოღვაწეობის შედეგია, მრავალი ადამიანის ჯაფითა და მოთ-  
მინებით საქმის კეთების, უდიდესი ძალისხმევის ნაყოფი. ილია  
ოქრომჭედლიშვილი, ქართული კულტურის მიმართ განსაკუთრე-  
ბული ღვაწლის მქონე, ერთი ფერადი კენჭია იმ შესანიშნავ მოზა-  
იკაში, რომელსაც ჩვენი დიდებული XIX საუკუნე (განსაკუთრებით  
მისი მეორე ნახევარი) ჰქვია და რომლის დიდებულებას ამ კენჭის  
გამოცლა ერთგვარად გააუფერულებდა. მარტო ილია ჭავჭავაძის  
მასთან მიწერილი წერილებით შეიძლება ვივარაუდოთ, როგორ  
ჭირდებოდა ის იმ ნაციონალური პროექტის განხორციელებას, რო-  
მელმაც გარდამტეხი როლი შეასრულა ქართველი ერის იდენტო-  
ბის შენარჩუნებაში, დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის  
აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში.

**ბიოგრაფია**

სერებრიაკოვის ფსევდონიმით ცნობილი (ეს გვარი რუსებმა  
ჩაუნერეს ილიას მამას – ლაზარეს, დაბადების მოწმობის გაცემი-  
სას), ილია ოქრომჭედლიშვილი, სიღნაღში, 1838 წლის 24 აპრილს

დაიბადა. მამა – სახაზინო გლეხი – მუდმივად ხელმოკლეობაში ცხოვრობდა. დედა – ქართველი კათოლიკე, გვარად ფრანგუშკოვა იყო, – თუმცა, არ ვიცით, ეს ნამდვილი გვარი იყო, თუ შერქმეული. ვფიქრობ, ფრანგუშკოვა შერქმეული გვარიც იყოს, რადგან ჩვენში კათოლიკე ქრისტიანებს ხშირად ფრანგებს ეძახდნენ, ოქრომჭედ-ლიშვილის დედა კი კათოლიკე იყო.

თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქას, როდესაც ილია ოქრომჭედ-ლიშვილს ცხოვრებაში ფეხის შედგმა მოუხდა, იმ წოდებრივ წარმომადგენლობას, რომელსაც ის ეკუთვნოდა, ჩვენთვის ცხადი გახდება, თუ რა ძნელი გზის გავლა მოუწევდა ახალგაზრდა კაცს გლეხის ქოხიდან მოსკოვის უნივერსიტეტის პედაგოგის კათედრამდე რომ მისულიყო. ამას ისიც დაემატა, რომ ილია ოქრომჭედლიშვილი ადრე დაობლდა, უფროსმა ძმამ ივანემ ის თბილისში წამოიყვანა და თამამშოვის ქარვასლაში, ფარჩეულის სავაჭრო დუქანში შეგირდად დააყენა. უფროსი ძმა ყმანვილს სიბეჯითისა და მუდმივი ძიების მაგალითს აძლევდა.

მიუხედავად მთელი დღის დაულალავი შრომისა, ღამეს ყმანვილი ილია ოქრომჭედლიშვილი ნიგნის კითხვასა და თვითგანვითარებაში ატარებდა.

ნაცნობებმა და მისი თავდადების შემყურე ადამიანებმა ნიჭიერ ახალგაზრდას შეუგროვეს ფული და რუსეთში გაგზავნეს.

შრომისმოყვარე ყმანვილმა ექსტერნად ჩააბარა გამოცდები, მიიღო გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. 1863 წელს ილია ოქრომჭედლიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტის ქართულ-სომხური განყოფილება და წარდგენილი ნაშრომისათვის „თემურ ლენგის ლაშქრობა საქართველოში“ მიენიჭა კანდიდატის ხარისხი. მისი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელის, გამოჩენილი მეცნიერის დავით ჩუბინაშვილის რეკომენდაციით, მუშაობა დაიწყო მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის მასწავლებლად, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის დოცენტად.

ილია ოქრომჭედლიშვილი გამოირჩეოდა მეცენატობითაც. მან დიდი დახმარება გაუწია ცნობილ მხატვრებს – გიგო გაბაშვილს, მოსე თოიძეს, ალექსანდრე ბერიძეს და სხვებს. 1884 წელს მისი ხელშეწყობით გამოიცა „ვისრამიანი“. ასევე, დიდძალი თანხა მოახმარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს, ქართულ თეატრს, ქართული ხელნაწერების გამოცემას.

1889 წელს ოქრომჭედლიშვილი პენსიაზე გავიდა და თავისი ადგილი ახალგაზრდა ალექსანდრე ხახანაშვილს დაუთმო, თვითონ კი სამშობლოში დაბრუნდა. აქ ხელი მიჰყო პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობას. სამტრედიასთან, სოფელ საჭილაოში ააგო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე დიდი და საუკეთესოდ აღჭურვილი საწარმო იყო. ამ საქმიდან შემოსულ ფულს ილია ოქრომჭედლიშვილი უანგაროდ ახმარდა მშობლიური კულტურის განვითარებას [1].

მოულოდნელად, შავიზღვისპირეთში მოგზაურობისას დაავადდა და გარდაიცვალა 1898 წლის 3 იანვარს, 59 წლის ასაკში. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

*ილია ოქრომჭედლიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა: წერილი სომხურ ენასა და სომხეთის ისტორიაზე ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“*

სამწუხაროდ, ილია ოქრომჭედლიშვილის მთავარი სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს ისტორიაში – „თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში“ დაკარგულია. მის შესახებ ვიცით მხოლოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის – დავით ჩუბინაშვილის მოხსენებითი ბარათით, სადაც ის მოწაფის სამეცნიერო შრომის ღირსებაზე საუბრობს, რის საფუძველზეც ითხოვს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან – მიანიჭონ მას მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ავტორს ამ ნაშრომის გამო მართლაც მიენიჭა დიპლომი ხარისხი და ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილიც გამოეყო.

ილია ოქრომჭედლიშვილის ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან მათი სიყრმიდანვე დაიწყო. ოქრომჭედლიშვილი ილიას პირველ ნაბიჯს ქართულ ეროვნულ-საზოგადოებრივ სარბიელზე – ყურნალ „საქართველოს მოამბის“ დაარსებას არა მარტო აღტაცებითა და თანაგრძნობით შეხვდა, არამედ ამ ყურნალში უშუალო თანამშრომლობითაც. გამოცემაში დაიბეჭდა მეცნიერებაში მისი სადებიუტო ნარკვევი – „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“ [2, 45-48].

ოქრომჭედლიშვილის სტატია ეხებოდა სომეხი ხალხის განსახლებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მის მიერ სხვა ხალხის ადათ-წესების მიღების უნარს, მაგრამ სომხური ენის მტკიცედ დაცვას. „რვაას წელიწადზე მეტია, რაც ნამდვილი სომხეთი დაეცა და იმისმა შვილებმა დაიცვეს მტკიცედ თავიანთი ენა, – წერდა ილია ოქრომჭედლიშვილი, – თუმცა, დიდის შეჭირვებით კი, და უკანასკნელს დროს მისცეს იმ წარმატებას, რომელიც ჯერეთ არ გამოეცადა. სომეხს უყვარს თავისი ენა და ცდილობს, რომ ყოველი ღონისძიებით შეამკოს ეს სასურველი საგანი თავის სასოებისა; ამისათვის ჰგონებს, რომ სომხური ენა არის პირველი ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ წარღვნის წინათ. ამის დასამტკიცებლად მოგვიტანს ფაქტებს, რომელთა სისუსტეს თვითონვე ჰგრძნობს, მაგრამ მაინც გული არ აძლევს ამ ტკბილი და მომხიბლავი ჰაზრის უარისყოფას. ის შესცდება, ვინც სომხების ამ უსაფუძვლო ძიებას მიაწერს მხოლოდ იმათ ბრმა თავმოყვარეობას. მომეტებული ნაწილი უფრო მიეწერება იმ ღრმა სიყვარულს, რომელსაც ჰგრძნობს სომეხი თავის ენისადმი. ესეა საზოგადო კანონი კაცის ბუნებისა: თავის სიყვარულის საგანს მიაწერს იმ ღირსებას, რომელიც არ იპოება თვით საგანში. ამავე სიყვარულზედ არის დაფუძნებული იმედი, რომელიც ძველადვე გულში ჩაინერგეს გაძევებულ ჰაოსიანთ თავიანთი მამულის აღდგენისა. დიდი სულგრძელებით და მოთმინებით გამოატარეს სომხებმა ეს იმედი აუარებელ ჭირთა და წელთა შორის და აჰა, მოახლოებულა საათი, როდესაც მიიღებენ სომხები ჯილდოს ამ სამაგალითო ერთგულებისა და სიმტკიცისათვის“ [2, 47].

სტატიაში აღწერილია სომხეთის ისტორიული მდგომარეობა V-დან XI საუკუნემდე, სომეხთა სახელმწიფოებრიობის გაუქმება-ამდე. მდგომარეობის სიმძიმეს ქმნიდა მუდმივი ომები ბიზანტია-სპარსელებს შორის, ვითარება იმ არისტოკრატიისა, რომლებიც ან ერთს ემხრობოდნენ, ან მეორეს. ტახტს ხან ერთი ჰკარგავდა, ხან მეორე. „სპარსთა და ბერძნებს შორის არასდროს არ დაცხრომი-ლა მიღწევრობა. როდესაც ბერძნები გაილაშქრებდნენ სპარსეთზე, შემოვიდოდნენ სომხის საზღვარში და სწენდნენ და ჰფხრენდნენ საწყალ სომხეთს, ეს ორი ძლიერი სახელმწიფო ბურთივით ათამაშ-ებდა სომხეთს“ [2, 48].

სომხეთის სახელმწიფოს დაცემას ოქრომჭედლიშვილი ათარიღ-ებს 1045 წლით, როდესაც მეფე გაგიკ III-მ, ბიზანტიის მეფე კონ-სტანტინე მონომახისგან მოტყუებულმა, ქვეყანა დატოვა და მცი-რე აზიაში გაიქცა. ის არ ეთანხმება იმ მეცნიერებს, რომელთაც ეს მოვლენა გაგიკის მოკვლის წელთან აქვთ დაკავშირებული და 1079 წლით აქვთ დათარიღებული.

ავტორი ეხება სომხურ მიგრაციას, რომელიც V საუკუნიდან და-იწყო და მოიცვა თითქმის მთელი მსოფლიო, გამოყოფს მცირე სომ-ხეთად ნოდებულ კილიკიის სამეფოს, რომელიც სომხურმა ემიგრა-ციამ დაარსა XI საუკუნეში და თითქმის სამი საუკუნე იარსება.

იმონებს რა სომეხ ავტორს – შაჰნაზარიანს, სომხების თანა-მედროვე განსახლებას ილია ოქრომჭედლიშვილი ასე წარმოად-გენს: ოსმალეთში 3 000 100 სომეხი ცხოვრობდა, ისინი უმთავრე-სად არეზის, ტიგროსისა და ევფრატის ხეობებში მოსახლეობდნენ, ანუ ძველი დიდი სომხეთის ტერიტორიაზე.

ილია ოქრომჭედლიშვილის სიტყვით, შაჰნაზარიანი თვლიდა, რომ მსოფლიოში 4 მილიონზე მეტი სომეხი ცხოვრობდა.

ნაშრომში ქართველი ავტორი საუბრობს მესროპ მაშტოცის მიერ სომხური დამწერლობის შექმნაზე V საუკუნეში, ასახელებს სომეხ მწერალთა გამოჩენილ წარმომადგენლებს: მოსე ხორენეცს, ლაზარ ფარპეცს, ეპისკოპოს ელიშეს, შემდეგ საუკუნეებში სომეხ-თა შორის გამორჩეულ მეცნიერებს: ოჰანეს კათალიკოსს, ნერსეს

კლარეცის, გრიგოლ მაგისტროსს, სტიფანე ორბელიანსა და სხვ. [2, 51].

ოქრომჭედლიშვილის აზრით, სომხური ენა ერთდროულად შეიქმნა და წარმატება მოიპოვა, მაგრამ სულ მალე უკან დაინია, ფუნქცია დაუქვეითდა, რადგან ის სამართლიანად მიიჩნევის, რომ პოლიტიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული ენის მდგომარეობა. მხოლოდ XI საუკუნეში, ჯვაროსნული მოძრაობისას, ფრანგული გავლენით ცოტა ხნით გამოფხიზლდა სომხური მწერლობა, მაგრამ მალევე „მიეცა დიდ დავრდომილებას“. ამის მიზეზი იყო სომეხთა გადასვლ-გადმოსვლა, სხვა ენებისა და მეტყველების გავლენა, სწორედ ამ დროს სომხეთს ნამდვილ მხსნელად მოეწვინა მხითარი, რომელიც XVII საუკუნეში გრიგოლ განმანათლებლის შემდეგ მეორე განმანათლებლის მისიით მოღვაწეობდა.

ოქრომჭედლიშვილს მოაქვს მხითარის ვრცელი ბიოგრაფია და მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობის ისტორია.

მხითარი და მისი მიმდევარი – მხითარისტები იყვნენ სომეხი კათოლიკე მონესეები, რომელთა ორდენის დამაარსებელია პეტრე მანუქი სებასტიიდან (†1749), წოდებული მანუგეშებლად (მხითარი). ორდენი 1701 წელს კონსტანტინოპოლში დაარსდა სახელწოდებით – „წმიდა ანტონის სომეხი მონესეები“. 1703 წელს მან მორეაში გადაინაცვლა, 1715 წელს კი, ოსმალთა შემოსევის შემდეგ, ვენეციას შეაფარა თავი, სადაც წმიდა ლაზარეს მცირე კუნძულზე დამკვიდრდა. 1773 წელს მხითარელნი ორ კონგრეგაციად დაიყვნენ: ერთი მათგანი ვენეციაში დარჩა, მეორე კი, მცირე ხანს ტრიესტეში ყოფნის შემდეგ, ვენაში დამკვიდრდა.

ავტორი არა მარტო პეტრე მანუქის, არამედ მისი მიმდევარი მხითარისტების საგანმანათლებლო მოღვაწეობას გადმოსცემს. როგორც ჩანს, მაშინდელი საზოგადოების დიდი ინტერესის შედეგი იყო მსგავსი გამოკვლევის გამოქვეყნება, ამიტომ უთმობდა ილია ჭავჭავაძე მხითარისტებზე ინფორმაციის მიღებას ამდენ ადგილს თავის ჟურნალში.

ოქრომჭედლიშვილის ნარკვევში შესულია ვრცელი ექსკურსი მხითარისტ მიხეილ ჩამჩიანის (1738-1825 წწ.) საისტორიო-სამეც-

ნიერო მოღვაწეობაზე. ის ჩამჩიანის მიერ დაწერილ სომხეთის ისტორიის ორ ვარიანტზე მიუთითებს: სომხეთის ვრცელი ისტორია, რომელიც იწყება დასაბამიდან და მოდის 1784 წლამდე და მოკლე ისტორია, რომელიც 1811 წელს დაიბეჭდა. ჩამჩიანის ისტორიას ქართველი ავტორი ნაკლად უთვლის ზოგიერთი მოვლენის მცდარად წარმოდგენას, მაგრამ აქებს მის ენას, ფაქტების ისე საინტერესოდ მოტანას, რითაც ჩამჩიანმა სომხებს შეაყვარა საკუთარი ისტორია.

მიქაელ ჩამჩიანის თხზულებისადმი დიდი ინტერესი რომ იყო ქართველ სწავლულთა შორის, ამას მონიშნავს თეიმურაზ ბაგრატიონის კოლექციაში დაცული სომეხი ავტორის თხზულება და საკუთარი ხელით ტექსტზე 1816 წლით დათარიღებული მინანერებიც. მოგვიანებით, მკვლევარმა ლ. მელიქსეთ-ბეგმა მიქაელ ჩამჩიანის ქართული თარგმანი დაბეჭდა საქართველოს მუზეუმის მაცნეში [7, 55-58].

მკვლევარი ილია ოქრომჭედლიშვილი ეხება სხვა სომეხი ისტორიკოსების შემოქმედებას, ასახელებს მათ მიერ დაწერილ ისტორიულ წიგნებს, ესენია: ლუკა ინჯინჯიანი, ძმები ავკერიანები, ეხება ოსმალეთის კონსტიტუციაში დაცულ სომეხთა ავტონომიურ უფლებებს, აღწერს ამ მოდელით ოსმალეთის იმპერიაში შექმნილ სომხურ სასამართლოებსა და სხვ.

ეს საკმაოდ ვრცელი და მრავლისმომცველი წერილი განსაკუთრებით სინტერესოა ახალ პერიოდში სომხური ემიგრაციის ცხოვრების, მისი ლიტერატურის, ენის, ისტორიისა და ცხოვრების წესების გასაცნობად. მასში ჩანს ავტორის საკმაოდ პროფესიონალური ინფორმირებულობა, სომხური ისტორიისა და ყოფის ცოდნა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლაზარევის ინსტიტუტში სწავლისას ოქრომჭედლიშვილს სომხური ენისა და ლიტერატურის პროფესიული შესწავლა მოუხდა, არ უნდა გაგვიკვირდეს მის მიერ გამოვლენილი ეს ცოდნა და პროფესიონალური მსჯელობები.

ნაშრომისთვის თანდართული შენიშვნები რუსული, სომხური და ფრანგულ-გერმანული ისტორიული წყაროების შესახებ იმის

მაჩვენებელია, რომ ამ პერიოდში უკვე აღორძინების გზაზეა დამდგარი ქართული პრესა და პუბლიცისტიკა, თავად საისტორიო აზროვნება კი განვითარების ახალ საფეხურზეა ასული: ის ევროპული ისტორიული მეცნიერების სტანდარტებს შეესაბამება.

**ილია ოქრომჭედლიშვილი – რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის ორგანიზატორი და მონაწილე**

მნიშვნელოვანია ილია ოქრომჭედლიშვილის წვლილი რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის ორგანიზებისა და სამეცნიერო დონის წარმოჩენაშიც.

აღმოსავლური ენების სპეციალური კლასების საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, მან ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარა. საქართველოში, კერძოდ თბილისში ყრილობის ჩატარებას ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიის ცენტრის დაინტერესებისათვის, საქართველოს სიძველეების აღმოჩენა-დაცვის მიზნით გამოეყოთ თანხები და დაეფინანსებინათ სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოში თუ მის გარეთ.

თბილისამდე არქეოლოგიური ყრილობები ჩატარდა რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებში: I ყრილობა ჩატარდა მოსკოვში – 1869 წელს, II- პეტერბურგში – 1871 წელს, III – კიევში, 1874 წელს, IV- ყაზანში 1877 წელს. ყველა ეს ქალაქი საუნივერსიტეტო ქალაქი იყო და, შესაბამისად, ისინი მაღალი სამეცნიერო დონითაც გამოირჩეოდნენ. თბილისში არქეოლოგთა ასეთი დონის ყრილობის ჩატარება მიუთითებდა რუსეთის სამეცნიერო საზოგადოების დიდ ინტერესს ქართული წყაროებისა და ძეგლების შესწავლისადმი, რისთვისაც მსოფლიო მეცნიერთა ამ თავყრილობას ხელი უნდა შეეწყო.

გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ არქეოლოგთა ყრილობის გახსნის დღეს გაიხსნებოდა რეორგანიზებული კავკასიის მუზეუმი [5, 12].

ყრილობა გახსნა გენერალ-ადიუტანტმა, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრმა (1881 წელს იყო რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი) მიხეილ ლორის-მელიქოვმა. ყრილობაზე 81 მოხსენება იქნა წაკითხული. დამსწრეთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია

გიორგი წერეთლის მოხსენებამ, რომელმაც საზოგადოებას აუწყა რიონის ხეობაში არსებული ყორღანების შესახებ, კონკრეტულად კი ვანში, ახვლედიანების გორაზე 1865-1870 წლებში არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის ფაქტები [8, 82].

რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა 1881 წლის 8 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე მიმდინარეობდა და მასში ილია ოქრომჭედლიშვილი არა მარტო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებით, არამედ სერიოზული სამეცნიერო მონაწილეობით იყო ჩართული. ეს ყრილობა იმდროინდელი საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად გადაიქცა და მასში არა მარტო რუსეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა: დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა და ილია ოქრომჭედლიშვილმა, არამედ საქართველოში მოღვაწე ისტორიკოსებმა, ქართველოლოგიის დარგის სწავლულებმა, მოწინავე ქართველი საზოგადოების წევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

არქეოლოგიური ყრილობის „ენისა და მწერლობის ძეგლთა“ მეექვსე განყოფილების სხდომაზე, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე თავმჯდომარეობდა, ხოლო ალექსანდრე ცაგარელი მდივანობდა, მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის მოხსენება – „ცნობები ქართული დამწერლობის ძეგლთა შესახებ“ და ილია ოქრომჭედლიშვილის – „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?“.

მოხსენების ბოლოს ოქრომჭედლიშვილმა გააკეთა დასკვნები, სადაც აღნიშნული იყო:

1. საქართველოში ანბანი შემოიღო მეფე ფარნავაზმა მეოთხე საუკუნის ბოლოს ან მესამეს დასაწყისში ქრისტეს წინათ;
2. ხუცური ანბანი იგივე მხედრული ანბანია, მხოლოდ შეცვლილი;
3. მესროფმა, თუ მიიღო რაიმე მონაწილეობა ხუცური ანბანის შექმნაში, მიიღო მხოლოდ ისე, რომ არჩია მხედრულ ასოებში მრგვალი ხაზების მაგივრად სწორი ხაზებით ეწერა.

მისი სამეცნიერო დასკვნების შეფასება დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ქართულმა ენათმეცნიერებამ და ლინგვისტურმა

ძიებებმა ასეთი გასაქანი და სიღრმე მოიპოვა, ალბათ არასწორი იქნება. ის კი შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ მისი შეხედულებები იმდროინდელმა სამეცნიერო წრეებმა და ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა სრულად გაიზიარა.

რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობაზე წაკითხული ოქრომჭედლიშვილის მოხსენება – „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?“ იმავე წლის ოქტომბრის თვის ჟურნალ „ივერიაში“ დაიბეჭდა [3, 10], ხოლო 1887 წელს რუსულად დაიბეჭდა არქეოლოგიური ყრილობის შრომებში [4, 221-229].

ქართული ისტორიოგრაფია ოქრომჭედლიშვილის ამ ნაშრომს მონონებით შეხვდა. ისტორიკოსმა მოსე ჯანაშიელმა 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა წერილების მთელი სერია სათაურით – „რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი (ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო – „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?“) [6, 115-128]

1898 წელს ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: „ქართული ენისა და ისტორიის სამაგალითო მცოდნე ილია ოქრომჭედლიშვილმა დატოვა მრავალი ძვირფასი ნაწერი, რომელთა შორის „ამბავი ქართული ანბანის შემოღებისა“ და „შენიშვნები ქართული მატრიანეს შესახებ“ დღემდის სამაგალითო გამოკვლევებად ითვლება. ოქრომჭედლიშვილმა პირველმა დაამტკიცა, რომ ქართული ანბანი დიდის ხნის შემოღებულია და პირველმა აღნიშნა კავშირი ქართულსა და ზენდურს ანბანებს შორის. მანვე დაარღვია ის ცრუ აზრი, ვითომც ქართული მატრიანე უცხო სტომის კაცებისაგან იყოს შედგენილი“ [9, 1898].

თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობაზე ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ წაკითხული დიმიტრი ბაქრაძისა და ილია ოქრომჭედლიშვილის მოხსენებების შესახებ მოგვიანებით აზრი გამოთქვა ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომში – „ქართული პალეოგრაფია“. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი ამ ორი ისტორიკოსის ნააზრევზე: „ჯერ ისიც კი გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი ანბანია უძველესი, ხუცური თუ მხედრული,

ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და თანდათან განვითარება შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტას ლამობდნენ, როგორც ქართული ანბანის სადაურობაა. საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ 1881 წელს მეხუთე საარქეოლოგიო კრებაზეც იყო თბილისში წამოყენებული. ამ საკითხს ეხებოდა ორი მოხსენება: ერთში, რომელიც „Грузинская палеография“-ს სათაურით დ. ბაქრაძემ წაიკითხა, ეს საკითხი მხოლოდ გაკვირით არის მოხსენიებული, ვითარცა უცილობელი და უკვე საბოლოოდ გამორკვეული, უმთავრეს მიზნად კი მომხსენებელს ქართული ანბანის მოხაზულობის ისტორია მიაჩნდა. მეორეში, რომელიც ილია ოქრომჭედლიშვილს ეკუთვნოდა და სახელად ეწოდება „Об изобретении грузинского алфавита“, საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ სწორედ საგანგებოდ არის განხილული. დ. ბაქრაძემ თავისი მოხსენების მთავარი დებულებანი 1881 წელს გამოსულ წიგნშიც – „ისტორია საქართველოსი“ – გაიმეორა, ხოლო ილ. ოქრომჭედლიშვილმაც თავისი აზრი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ ქართულადაც გამოაქვეყნა 1881 წელს წერილში: „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?“ („ივერია“, №10) და 1890 წელს გაიმეორა გამოკვლევაში „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის ძველის ისტორიისა“ [10, 36-42; 11, 18].

მონინავე საზოგადოებამ 18 სექტემბერს დიდი ბანკეტი გამართა არქეოლოგიური ყრილობის მონაწილეებისთვის. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა მგრძნობიარე სიტყვები წარმოთქვეს და განსაკუთრებული მადლობა პეტერბურგში მოღვაწე თანამემამულეებს გადაუხადეს. სამადლობელი სიტყვა მხოლოდ ილია ოქრომჭედლიშვილმა წარმოთქვა. მან თავის მხრივ გადაუხადა მადლობა ქართულ საზოგადოებას გულითადი შეხვედრისათვის და აღნიშნა: „თუმცა ეს ოცდაორი წელიწადია, რაც მე ჩემს სამშობლოს მოეშორდი და რუსეთში ვცხოვრობ, მაგრამ როგორც აკაკიმ ბრძანა, რუსეთის ყინულს არ გაუყინავს ჩემი გული და დღემდინ ჩემი ნატვრა და სურვილი ეს არის, და იმედი მაქვს სიკვდილამდინაც ეს იქ-

ნება, რომ რითაც შემეძლება, ზნეობით თუ ნივთიერად დავეხმარო ამ ჩემს ქვეყანას“.

ეს მართლაც ასე იყო: თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლე ამ ნიჭიერმა და დიდბუნებოვანმა ადამიანმა საქართველოს კულტურული საგანძურის გადარჩენისათვის ბრძოლას დაუთმო, რასაც კარგად მონაბეზ მასთან მიწერილი სხვადასხვა პირთა წერილები, ამ მხრივ კი გამორჩეული მაინც ილია ჭავჭავაძის ეპისტოლური მემკვიდრეობაა, სადაც ოქრომჭედლიშვილისადმი მიწერილ ბარათებს დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს.

### **„საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები“**

განხილული ნაშრომების გარდა, 1887 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე სერიულად გამოქვეყნდა ოქრომჭედლიშვილის პუბლიკაციები სახელწოდებით – „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები“. ავტორი წერილების სერიას ხელს აწერდა ფსევდონიმით – ი. ოქრომჭედელი [12, 194, 197, 200].

პირველივე წერილში მკვლევარი აკრიტიკებს „ივერიაში“ ქართული ანბანის შესახებ გამოქვეყნებული წერილის ავტორს (გვარს არ ასახელებს), რომელიც კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ ქართული ანბანი ქართველის მოგონილია ფარნავაზამდე ცხრაასი წლის წინათ. ამგვარ უარგუმენტო დასკვნებს მეცნიერი მიუღებლად თვლიდა. მიაჩნდა, რომ მისი რეფერატის გამოქვეყნებიდან გასულ ექვს წელიწადში მეცნიერული კვლევა ამ თემაზე წინ უნდა წასულიყო, რაც არ მომხდარა. ის იმ დაკვირვებაზეც საუბრობს, რაც ბოლო დროს სომეხ ავტორთა ნაწერებში უნახავს. კორიუნის მესროპის ბიოგრაფიიდან გამონაკრეფნი, რაც მას განხილული ჰქონდა რეფერატში, ფრანგულად ყოფილა გამოქვეყნებული ვიქტორ ლანგლუას კრებულში, მაგრამ გაუგია, რომ მესროპის ბიოგრაფიის სხვა ვარიანტიც არსებულა, რომელიც იმავე კორიუნს მიეწერებოდა და სადაც საუბარი იყო საქართველოდან მესროპის წასვლაზე ალბანიაში და იქ საქმიანობაზე. სტატიაში ილია ოქრომჭედლიშვილი აკრიტიკებს ამ ახლად აღმოჩენილ ისტორიულ დოკუმენტს, მას ნაყალბევად თვლის,

რადგან საუბარია მესროპის მიერ ალბანური ანბანისა და მის მიერ „დაქცეული ანბანური მეცნიერების“ აღდგენაზე. „წყალნალეულ ალბანიას, – წერს ოქრომჭედლიშვილი, – კორიუნის სიტყვით, ჰქონია ანაბანიცა და მეცნიერებაც მაშინ, როდესაც უფრო გამოჩენილ საქართველოს არ მიაჩემებენ ანბანსა მესროპის თანამედროვე სომეხთა მწერალნი“ [12, 194].

მკვლევარი თვლის, რომ სომხური წყაროები ხშირად ახდენდნენ ფაქტების ჰიპერბოლიზებას, გაყალბებას, სომეხი ავტორები, მისი აზრით, ამას არა მარტო საერო, სასულიერო დოკუმენტებშიც კი არ ერიდებოდნენ.

ამავე წერილში ი. ოქრომჭედლიშვილი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ტერმინებზე – სომხეთი და სომხითი, მიუთითებს ხშირად მათ აღრევასა და მნიშვნელობის შეცვლაზე. მისი აზრით, სომხეთსა და საქართველოს შუა მდებარე ტერიტორიას სომხეთის გეოგრაფია გუგარქად მოიხსენიებს. სომხები ამავე ტერიტორიას უწოდებდნენ ივერ-ივერქს, რასაც მთლიან საქართველოსაც ეძახდნენ. აქაურ მთავრებს სომხები ბდეშებ-ს და მეფეებსაც კი ეძახდნენ. მოაქვს ლაზარ ფარპეცის ისტორია, რომელიც გუგარქის მთავრებისა და მეფეების გავრცელებულ სახელად ბაკურს მიიჩნევს.

მკვლევარი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ კორიუნი და მოვსეს ხორენეცი მესროპ მაშტოცის წასვლას ანბანის შექმნისათვის არა მთელ საქართველოში, არამედ ამ გუგარქ-ივერ-ში გულისხმობდა, იქაურებს შეუქმნა ანბანი და არა მთლიანად ქართველებსო.

წერილების ამ სერიაში ავტორი უბრუნდება ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს, ასევე განიხილავს ქართული ენის თავისებურებებს, მისი განვითარების ისტორიას.

აქვე მეცნიერი საუბრობს მარი ბროსეს ქართველოლოგიურ ნაშრომებზე, აკრიტიკებს მის ზოგიერთ დებულებას [12, 194-200].

ოქრომჭედლიშვილის მრავალი შრომა გაიბნა და დაიკარგა, ყოველ შემთხვევაში დღემდე მიგნებული არაა. მის ნიჭსა და ცოდნის

მრავალმხრივობას მიუთითებს ოქრომჭედლიშვილის მიერ შედგენილი ლაზარევის ინსტიტუტის სპეციალური კლასების ქართული ენის პროგრამა, ასევე, ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციული წესრიგის შესახებ დანერილი ვრცელი ანგარიში, სადაც ჩანს მისი ცოდნა როგორც სამეცნიერო პედაგოგიურ სფეროში, ასევე სამეურნეო-ეკონომიკის დარგში, ჩანს მისი ცხოვრებისეული დაკვირვებანი, დიდი პრაქტიკული ნიჭი, უნარები და გამოცდილება.

### **„შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველისძველი ისტორიისა“**

ილია ოქრომჭედლიშვილის წერილი – „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველისძველი ისტორიისა“, დაიბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის ხუთ ნომერში (№№36, 38, 40, 41, 42). წერილი დაინერა სომეხი მეცნიერის – პატკანოვის საპასუხოდ, მის სიცოცხლეში, თუმცა ის მოგვიანებით დაიბეჭდა, წერილის გამოქვეყნებისას პატკანოვი უკვე გარდაცვლილი იყო.<sup>1</sup>

ავტორი ამ მნიშვნელოვან პოლემიკურ გამოკვლევას იმის აღნიშვნით იწყებს, რომ 18 წლის წინათ გამოქვეყნდა ფრანსუა ლენორმანის ნაშრომი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც საქართველოს, ასევე, სომხეთის უძველესი ისტორიის მთავარი საკითხების დაზუსტებაში.

ქართველი მკვლევრისთვის ადვილი არ იქნებოდა ამ მწვავე პოლემიკური სტატიის გამოქვეყნება, რადგან ის, როგორც არმენოლოგი, სომეხ მეცნიერებთან მეგობრობდა, პატკანოვი მისი თანამშრომელი იყო და სომხეთის ისტორიული წარსულის კრიტიკა მათ ურთიერთობას აუცილებლად დააზარალებდა, თუმცა, მას ამ შემთხვევაში ისეთი სუკეთესო ევროპელი მეცნიერის მხარდაჭერა ჰქონდა, როგორც ფრანსუა ლენორმანი იყო.

ოქრომჭედლიშვილი ასე ახასიათებდა ლენორმანსა და მის ახალ სამეცნიერო კვლევის შედეგებს, რაც პირდაპირ ეხებოდა საქართველო-სომხეთის უძველეს ისტორიას და ანგრევდა იმ თვალსაზ-

---

<sup>1</sup> ქერობე პატკანოვი (1833-1889) – სომეხი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, სომხეთის ისტორიული წყაროებისა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

რისებს, რასაც სომეხი მეცნიერები აქამდე ავითარებდნენ. ლენორმანის თვალსაზრისი ქართული ენის უძველეს კავშირებზე, კერძოდ ურარტული ხურიტულის მსგავსება მასთან, მანამდე ილია ჭავჭავაძემ გამოიყენა თავის პოლემიკურ წერილში. ამ საკითხის გავრცობა, როგორც პროფესიონალმა, სცადა ილია ოქრომჭედლიშვილმა.

„ფრანსუა ლენორმანი თავისი აუარებელი შრომითა და ცოდნით უუძველესი ისტორიისა, ეთნოგრაფიისა და ენებისა, ისე გამოჩენილია ახალ მეცნიერებაში, რომ ქართველი საზოგადოებისათვის უცნობი არ იქნება. იმის კალმისთანა მეცნიერული კალამი თავის დღეში არ მოხვედროდა ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიას, და რა მოხვდა, გააუქმა არა მარტო ქართველებისა და სომხების ისტორიული ძმობა, ერთმანეთმომავლობა, თვით სომხეთიც ახემენიდების პერიოდამდის წაართვა სომხებს და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველებს. რასაკვირველია, ამ სამკვიდროთი არც ქართველებს დაუხსნიათ მამულები პრიკაზისაგან, არც სომხებს წაერთვათ ბანკების აქციები, რომელიც ჯიბეში უწყვიათ, მაგრამ ისე გააბრაზა პროფ. პატკანოვი, რომ ცამეტი წელიწადია მოსვენებას ვეღარ მიაღწია და ბოლოს, რაკი უკეთესი ვერა გააჩნო რა, დაბეჭდა თავისი ცნობილი ფელეტონი, საცა დიდის ხრიკებით, თვალთმაქცობით, სხვისი ნამოქმედი თავის თავს მიაწერა, შეუცვალა ცნობილ ფაქტებს ფერი და ამით „ქართლის ცხოვრების“ გაუქმებას ჰლამობდა“ [13, 36].

ოქრომჭედლიშვილი წარმოაჩენს იმ დიდ ღვაწლს, რაც ევროპულმა მეცნიერებამ დასდო ლურსმული დამწერლობის გამიფრას. ასახელებს ამ მიმართულებით კაცობრიობის ძველი ცივილიზაციის აღმოჩენაში დიდი ღვაწლის შემტან მეცნიერებს: ინგლისელ ჰენრი რაულინსონს, ფრანგ ჟულო ოპერტს და ფრანსუა ლენორმანს. ლურსმულ ნაწერებში ხშირად ისმოდა არმენები და არმენია, რის გამოც ფრანგმა მეცნიერმა დილორიემ თხოვა ფრანსუა ლენორმანს, – კარგად აეხსნა არმენიისა და არმენების ისტორია, განემარტა რა ეწერა ახალ დოკუმენტებში მათზე.

ოქრომჭედლიშვილს „ივერიის“ სტატიაში მოაქვს ლენორმანის დე ლორიესადმი პასუხის თარგმანი, რითაც ქართულ საზოგადო-

ებასაც უხსნის იმ დიდი დავის მთავარ არსს, რომელშიც ილია ჭავჭავაძეც იყო ჩართული „ქვათა ღალადით“.

### **ფრანსუა ლენორმანის აზრი ვანის წარწერებზე და ოქრომჭედლიშვილის დასკვნები**

ლენორმანის ვრცელ წერილში დე ლორიესადმი დეტალურადაა საუბარი ურარტულ ლურსმულ წარწერებზე, მათ მსგავსება-განსხვავებაზე ასურულ და სხვა წარწერებთან. ფრანგი მკვლევარი აქ ამოკითხულ სიტყვებს იკვლევს ლინგვისტურ-გრამატიკული თვალსაზრისით და გამოაქვს მეცნიერული დასკვნა. მისი აზრით, ეს სიტყვები არ ჯდება სომხური ენის ლინგვისტურ და გრამატიკულ ნორმებში. „ჩვენის აზრით, – წერს ფრანგი მეცნიერი, – არმენიაში ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტისმეტად ემსგავსება ქართულ ენას, ყურადღებას მივაქცევთ თვით საგნის გამოკვლევას იმდენად, რამდენადაც ჩვენ ეს შეგვიძლია ეხლა, იმედი მაქვს მომავალში, როდესაც ჩემი ეს გამოკვლევა წინ წაიწევს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველნი საბუთნი ამ მსგავსებისა. ახლა კი წარმოვიდგინო მარტო ერთ შეურყეველ საბუთს, დაყენებულს არსებითი სახელის ბრუნვაზედ...“ [13, 36].

მკვლევარს მოაქვს მაგალითი არსებითი სახელის პირველი ბრუნვისა ურარტული და ქართული სიტყვის საშუალებით.

სომხურში ნაპოვნი წარწერების ენას ის ალაროდელს უწოდებს და მიიჩნევს ქართულთან ახლოს მდგარ ენად.

თუმცა, ქართული ენა საგრძნობლად განსხვავებულია სხვა ენათა ჯგუფისაგან, მეცნიერის აზრით, მასში ბევრია არიული წარმომავლობის სიტყვები.

ოქრომჭედლიშვილს ამის შესახებ მარი ბროსეს თვალსაზრისიც მოაქვს. მას მისაღებად მიაჩნია თეიმურაზ ბატონიშვილის აზრიც, რომ დიდი ნაწილი ქართული სიტყვებისა შემოსულია სპარსულიდან, შედარებით ახალ დროში „არა საჭიროების ძალდატანებით, არამედ ისტორიის მოქმედებით“, დანარჩენი კი ქართველებს მიუღიათ და „უთვისნიათ“ უუძველეს დროს...ძველი არმენიის ლურსმნებრივ წარწერათა ენა და ქართველების ენა ერთი და იგივეა“.

ამ აზრის დასამტკიცებლად ის მიმართავს ევროპელ მეცნიერთა შეხედულებებს, ასევე, ძველი ბერძენი მწერლების ნააზრევს. ამის შემდეგ თხოვს მკითხველს, ყურადღება მიაქციოს იმ ფაქტს, რომ ვანის წარწერები არაფრით ჰგავს ჰაოსიანთა ენას, ენას იმ ხალხისას, რომელმაც ამოჭრა ეს წარწერები და ამ ტერიტორიაზე იცხოვრა ძველი ნელთალრიცხვის VI საუკუნემდე. ისინი (არმენები) მაშინ შემოდინან აქ, როდესაც ვანის წარწერების უკანასკნელი ნიმუშები იჭრებოდა, აქ მცხოვრები ხალხი კი, დაღლილი და დაქანცული ნინევიისა და ბაბილონის წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლებისაგან, აქედან ჩრდილოეთით მიდიოდა იმ მიწისაკენ, რომელსაც ძველად უწოდებდნენ ივერია, ახლა კი საქართველო (გეორგია) ეწოდებაო. ამით იმავე დასკვნას აკეთებდა, რაც მან სხვა დროს მიდიის ისტორიის კვლევისას გააკეთა: „დაპყრობა არიის შთამომავლობის ხალხისაგან მდინარე ჰალისის და კასპიის ზღვის შუა მდებარე მთიან ადგილთა მოხდა ქრისტიანობის წინ VIII საუკუნიდან VI-მდე და არა ისე ძველად, როგორც საზოგადოდ მიღებულია მეცნიერთაგან“. მანამდე, როგორც მკვლევარი ფიქრობს, მიდია და კაპადოკია ეკავათ თათარ-ფინებს, თურანელ მედებს, მოსოხებს, თაბარენებს და საკუთრივ არმენიაში მკვიდრ ხალხს, რომელიც იყო „ნათესავი კავკასიისა“ [13, 36].

ოქრომჭედლიშვილი ეთანხმება ინგლისელი მკვლევრის – ჰენრი რაულინსონის დასკვნას ამ თემაზე: „ურარტის ენას არა აქვს არა რიგი თვისება ახლანდელ ჰაოსიანთა ენასთან. ჰაოსიანნი გამოვიდნენ ფრიგიიდან და ნელ-ნელა დაიპყრეს ფრიგიის აღმოსავლეთისკენ მდებარე მთანი, საიდანაც განაძეს და ზოგი ჩანთქეს ძველი ურარტიელნი მემკვიდრენი და შეცვალეს მათი სახელი, ენა, სარწმუნოება“ [14, 42].

თუმცა, ოქრომჭედლიშვილი არ უარყოფდა, რომ ეს აზრი გაზიარებული არ იყო ბევრი თანამედროვე ორიენტალისტის მიერ, მაგრამ ის იმონებდა ჰეროდოტესაც, რომელიც წერდა, რომ „არმენიაში ცხოვრობდა ორი ხალხი, რომელთაც არ ჰქონდათ ერთმანეთში არა რიგი თვისება, ერთს ასახელებდა ალაროდელეებად და

წარმოგვიდგენდა დიდი არმენიის მემკვიდრედ, იმ არმენიისა, რომელიც მდებარეობდა კოლხებისა და საფირების მიწების შუა, სწორედ იმ ხალხს, რომელსაც სხვა ძველი მწერალნი იბერებს უწოდებდნენ; მეორე ხალხი ემკვიდრა ატროპატაკანს და ერქვა სახელად მატანენი. ამათ შემდეგ მოდიან ჰაოსიანნი, რომელნიც ჰეროდოტეს მოწმობით ცხოვრობდნენ ევფრატის სათავის სიახლოვეს, ფრიგიის გვერდით, იმ მთებში, საიდანაც ჰალისის მდინარე გამოდის. „მაშასადამე, – ასკენის ილია ოქრომჭედლიშვილი, – ალაროდიელნი (იბერნი) წარმოადგენენ სწორედ იმ ძველ რასას... რომელსაც დაუტოვებია არმენიის ლურსმებრივი წარწერები“...

წერილი ვრცელია, როგორც ვთქვით, ის გაზეთის ხუთ ნომერს იკავებს, დაწვრილებით მისი შინაარსის მოტანა ძნელია, მაგრამ ავტორის მთავარი სათქმელი კარგად იკითხება. ეს სათქმელი არის ფრანსუა ლენორმანის იმ დროისთვის ახალი სამეცნიერო თვალსაზრისის გავრცელება და მხარდაჭერა. როგორც ეპილოგში თავად აღნიშნავს გამორჩეული სიამაყით, ამით ქართული დამწელობის ისტორია ფარნავაზამდე 500 წლით ადრე გადადიოდა, კარგად ჩანდა ქართველთა წინაპრების მისწრაფება განათლებასა და ცივილიზაციური ჩართულობისაკენ, მისი ნიჭი – ახალ გარემოებათა მიხედვით შეეცვალა ძველი კულტურული მონაპოვარი. ამ შემთხვევაში ისტორიკოსს მხედველობაში ჰქონდა ქართული დამწელობის ცვლილებები ფარნავაზის დროსა და მომდევნო ეპოქებში.

ზოგადად კი, ეს საკითხი, თემა, რომელსაც ეძღვნებოდა არა მარტო ოქრომჭედლიშვილის ეს წერილები, არამედ ევროპელ ორიენტალისტთა ახალი თვალსაზრისები, არც მაშინ და არც დღეს, სრულად გაზიარებული არ ყოფილა. თუმცა, არც მისი სიღრმისეული შესწავლა მომხდარა და საისტორიო-სამეცნიერო ჰოპოთეზები აქსიომად არ გადაქცეულა.

### ***ილია ოქრომჭედლიშვილი და ალექსანდრე ხახანაშვილი***

ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილი ილია ოქრომჭედლიშვილმა

სტუდენტობაშივე შეამჩნია, როგორც ნიჭიერი და ბევრთი ახალგაზრდა. ის ეხმარებოდა ხახანაშვილს, როგორც სამეცნიერო მუშაობაში, ასევე მატერიალურად, მხარს უჭერდა და ამხნევებდა მორალურად, რადგან მასში საქართველოსთვის საიმედო ძალას ხედავდა.

უნივერსიტეტში სწავლისას ხახანაშვილმა დაწერა შრომა – „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა. ამ ნაშრომმა დიდი ყურადღება მიიქცია და ვერცხლის მედლითაც დაჯილდოვდა. ნაშრომის რეცენზენტი ილია ოქრომჭედლიშვილი იყო. რეცენზია ისტორიკოსის დაკვირვებული თვალითა და მაღალი კომპეტენციით იყო დაწერილი. მეცნიერი წერდა: „ამ თემის არჩევანი თხზულების დასაწერად გულისხმობდა იმას, რომ ავტორი უმთავრესად გამოიყენებდა ქართულ ხელნაწერებს, ხახანაშვილი დასახულ ამოცანას მეტად სერიოზულად მოეკიდა: ბატონყმობის წარმოშობის ისტორიას იგი იწყებს თუ არა დასაბამიდან, ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტიდან მაინც, საიდანაც მოიხსენიება ქართული წერილობითი ძეგლებით. საგანზე მსჯელობისას მან ნაუმძღვარა როგორც ზოგადი თვალსაზრისი ბატონყმობის წარმოშობის შესახებ, ასევე იმ ისტორიული კანონზომიერების დახასიათება, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა ეს მოვლენა – ბატონყმობა. შეეხო რა თავის სპეციალურ ამოცანას, მან მიუთითა საქართველოში არსებულ ყმობის სამგვარ სახეობაზე: სამეფო, სამონასტრო და საბატონო ყმობაზე. უმთავრესად ეს სახეობანი ერთმანეთისგან ძირითადად გადასახადების რაოდენობით განსხვავდებოდნენ“.

ოქრომჭედლიშვილი ხახანაშვილის ნაშრომის ღირსებად მიიჩნევს საქართველოში ბატონყმური ურთიერთობების ფორმების შედარებას ევროპული ქვეყნების ფორმებთან, რუსულ ბატონყმობასთან. „არჩეული თემისადმი ასეთი დამოკიდებულება მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო სრული წარმოდგენა მიიღოს საქართველოში არსებულ ბატონყმობაზე“ [16, 61].

ამავე თემას აშუქებდა გაზეთი „ივერია“ 1899 წლის 1 აპრილის ნომრის „ახალ ამბავში“. აქვე სრულადაა მოტანილი ოქრომჭედ-ლიშვილის რეცენზიის მთელი ტექსტი [15, 70].

მთლიანად ალექსანდრე ხახანაშვილის შრომა დაბეჭდილია გაზეთ „ივერიის“ 1889 წლის რამდენიმე ნომერში. ესენია: №№147, 150, 152, 153, 155, 158, 161, 162, 163, 164, შემდეგ ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა [17, 147-164].

ამ შრომით ალექსანდრე ხახანაშვილმა მიიღო პროფესორის წოდება, ხოლო ილია ოქრომჭედლიშვილმა მას თავისი ადგილი მისცა ქართული ენის კათედრაზე.

ალექსანდრე ხახანაშვილმა თავისი ღრმა პატივისცემა მასწავლებლისადმი ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როდესაც პირველი ნაშრომი – „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე (ვუძღვნი პატივცემულ პროფესორს ილ. ოქრომჭედლიშვილს)“ როგორც „ივერიაში“, ასევე ცალკე წიგნად, მისადმი მიძღვნილ გამოაქვეყნა. ისინი ბოლომდე დარჩნენ ერთმანეთისადმი უღრმესი პატივისცემისა და მეგობრობის გრძნობით განწყობილები.

### *ილია ჭავჭავაძე და ილია ოქრომჭედლიშვილი*

იმ ეპისტოლური მემკვიდრეობიდან, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და ილია ოქრომჭედლიშვილს შორის არსებულ საქმიან და პირად ურთიერთობას ასახავს, ნათლად ჩანს სამშობლოს ბედზე მოფიქრალი, ქართული კულტურის გადარჩენისთვის მებრძოლი ორი მამულიშვილის პორტრეტი, მათ მიერ ჩვენი ქვეყნისთვის განეული ღვაწლი და ამაგი. ილია ოქრომჭედლიშვილი თანადროული საზოგადოებიდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვისთანაც ილია ჭავჭავაძეს ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ისინი თანატოლები, თანამოაზრენი, ერთი კუთხის შვილები და ერთ საგანზე მოფიქრალი ადამიანები იყვნენ: ეს საგანი „საქართველოს ხალხის ბედი, მისი უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა იყო“.

მის შესახებ ილია ამბობდა: „რაც დრო შესწევდა, თვითონ შეუდგა წიგნების კითხვასა და სწავლას; არც მასწავლებელი ჰყოლია,

არც ხელმძღვანელი, არც სადმე სასწავლებელი ჰღირსებია. თავისით გაიხსნა გონება იმდენად, რომ ყურადღება მიიქცია მაშინდელ ქართველ ყმანვილკაცობისა“.

მართლაც, ილია ოქრომჭედლიშვილმა თავისი პირადი უნარებით, დაუღალავი შრომით მოპოვებული მატერიალური შესაძლებლობები უშურველად გაიღო და მოახმარა დიდი ილიას სანუკვარი ოცნების განხორციელებას: ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარებას. „ჩემგან გადადებული ფულის თაობაზედ ერთი დაწყობილება უნდა მოვაგვაროთ, – წერდა ილია ოქრომჭედლიშვილი ილია ჭავჭავაძეს, – წერა-კითხვის საზოგადოებას მეტად პატიოსანი განწესება აქვს, რომელსაც ყველა კაცი უნდა შეენიოს... მე ვიცი და შენი წიგნებიდანაც ჰსჩანს, რომ შენ დიდი მოცალეობის პატრონი არა ხარ და მეც ჩემი თხოვნით ამ სხვადასხვა საქმეებისა გამო, უფრო გიმძიმებ ტვირთს, მაგრამ რასა იქ, აბა ერთი სხვა კაცი მაჩვენე, რომელსაც შენსავით ასტკივდეს გული ქართულ საქმეზედ“ [17, 85].

ილია „ქვათა ლაღაში“ სომეხ მეცნიერებს, კერძოდ კი პატკანოვს, პასუხს ცემს როგორც ევროპელი მეცნიერების – ლენორმანის, მასპეროს და ჰენრი რაულსონის სამეცნიერო თვალსაზრისების დამონებით, ქართველი მკვლევრის – ილია სერებრიაკოვი\_ ოქრომჭედლიშვილის გამოკვლევებითაც. როგორც ვნახეთ, ოქრომჭედლიშვილი მუშაობდა სომხეთის ძველი ისტორიის საკითხებზე, სწავლობდა ქართველი და სომეხი ხალხის უძველეს კავშირებს, ურარტულ კულტურას და სავსებით ეთანხმებოდა ლენორმანის შეხედულებებს ურარტელების ენისა და ეთნიკური ნათესაობის შესახებ ქართველ ტომებთან. ილია წერდა: „განსვენებული ილია სერებრიაკოვი, პროფესორი ლაზარევის ინსტიტუტისა, ერთს წერილში ამბობს: „ლენორმანმა არათუ გააუქმა ქართველებისა და სომხების ერთშთამომავლობა, თვით სომხეთიც აქემენიდების ხანამდე, ჩამოართვა სომხებს და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველებსა. ამ ამბავმა ისე გააბრაზა პროფესორი პატკანოვი, რომ მთელი ცამეტი წელიწადი მოსვენებას ვეღარ მიაღწია და ბოლოს, რაკი უკეთესი ვერა გააწყობა, დაჰბეჭდა თავისი ცნობილი ფელეტონი, საცა დი-

დის ხრიკებით, თვალთმაქცობით, სხვისი ნამოქმედარი თავის თავს მიაწერა, შეუცვალა ცნობილ ფაქტებს ფერი და ამითი „ქართლის ცხოვრების“ „გაუქმებას“ ჰლამობდა.“

პირველ წერილში ილია ოქრომჭედლიშვილისადმი 1881 წლის 22 ოქტომბერს ილია ჭავჭავაძე ეკითხებოდა მას, – შეძლებდა თუ არა ძველი ქართული ძეგლების დაბეჭდვაში ფინანსურ დახმარებას [17, 94-95].

ილია ოქრომჭედლიშვილის საპასუხო წერილი დაკარგულად ითვლება, თუმცა, შემდეგი მიმოწერიდან ჩანს, რომ ის სიამოვნებით დათანხმებია ამ წინადადებას. ამის შესახებ გაზეთ „დროების“ 1881 წლის 16 სექტემბრის №192-ის „ახალი ამბების“ რუბრიკიდან ვგებულობთ, სადაც წერია: „ილია ოქრომჭედლიშვილს შეუწირავს 6 ათასი მანეთი საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის იმ პირობით, რომ ამ ფულით იბეჭდებოდეს ხოლმე ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები“ [18, 192].

ამასვე იტყობინებოდა ქუთაისში გამომავალი გაზეთი „მრომა“ [19, 6].

საპასუხო წერილში ილია ჭავჭავაძე ოქრომჭედლიშვილს წერდა:<sup>2</sup> „საყვარელო მეგობარო ილიავ! წარსულ ხუთშაბათს შენის წიგნის საგანის შესახებ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, წარვუდგინე საზოგადოების გამგეობას. გადწყვიტეს, რომ ყველაზე უწინარეს „ვისრამიანი“ უნდა დაიბეჭდოს. ამოირჩიეს კომისია, რომ სია შეადგინოს დანარჩენის წიგნებისა, რომელნიც ერთი ერთმანეთზედ უნდა, შენის შემწეობით, დაიბეჭდოს. გარდა ამისა, იმავე კომისიას მიახდეს, გამოიკვლიოს – „ვისრამიანის“ დაბეჭდვას, აკინძვას და სხვას ამგვარსა რა მოუხდება ფული და მის მერმედ შენ გაცნობონ. კომისიამ გამოიკვლია და ამ ცოტა ხანში მაცნობა. რომ „ვისრამიანის“ დაბეჭდვას მოუხდება არა ნაკლებ ასის თუმნისა...“

დანარჩენი წიგნების სიასაც შეადგენენ და გამოგიგზავნით, კომი-

---

<sup>2</sup> წერილი იმავე წლის 7 ნოემბერს უნდა იყოს დაწერილი და გაგზავნილი, თუმცა, 2012 წელს გამოცემულ ილიას XVII ტომში, სადაც ილიას ეპისტოლური მემკვიდრეობაა შესული, წერილს თარიღად უზის 1883 წლის 7 ნოემბერი. თუ იმდროინდელ პრესას გავითვალისწინებთ, სწორია 1881 წელი.

სიამ სიამოვნებით მიიღო შენი უხვი წინადადება და გამგეობის საპატიო ნევრადაც დაგასახელა პირველსავე საზოგადო ყრილობაზეო.

როგორც ილია ჭავჭავაძის წერილიდან ჩანს, ოქრომჭედლიშვილს გამოუგზავნია ას სამოცდაათი თუმანი, ასი „ვისრამიანის“ გამოსაცემად, სამოცი ქართული თეატრისთვის. წერილიდან ისიც ჩანს, რომ ოქრომჭედლიშვილი მოთხოვნილ თანხას სრულად ანდობდა ილია ჭავჭავაძეს, იმედი ჰქონდა, რომ საჭიროებისამებრ მხოლოდ მას შეეძლო ფულის განკარგვა.

1884 წლის თებერვალში უნდა იყოს მოსკოვიდან გამოგზავნილი ოქრომჭედლიშვილის წერილი ილია ჭავჭავაძესთან, სადაც ჩანს გამოგზავნის დიდი გულშემატკივრობა ქართული თეატრის მიმართ. „თეატრზედ სანუგემოს არასა მწერ. ჩვენი თეატრი ახლა ჩვილი ყმანვილის ასაკში არის, და ეს ასაკი მიუცილებლად მოითხოვს, რომ სიცივეს, ავდარსა და შიმშილს მოაშორონ სრულწლოვანობამდისინ და მაშინ თავის თავს შეინახავს. თუ ეხლა ამას ხელს შევუწყობთ, მომავალი იმისი, ჩვენი ბუნებისა და ხალხის ხასიათის მიხედვით უფრო მაღალი და ვრცელი იქნება, ვინემც რუსეთისა. ამ საქმეზედ ზრუნვა და თავის დადება სასახელო საქმე იქნება. მე ბედნიერად შევრაცხდი ჩემს თავს, თუ ამ საქმის წარმართვას რითიმე შევეწეე მომავალში“ [17, 112].

ეს ადამიანი, კაცი, რომელიც სულ შრომობდა და ქმნიდა, ვის აღარ ეხმარებოდა, ვინ იცის ქართულ ეპისტოლურ მწერლობაში მისგან გაღებული რამდენი ადამიანის შენევისა და გადარჩენის მაგალითია. ერთ წერილში ოქრომჭედლიშვილი ილიას ამასაც წერდა: „გრიგოლ მეღვინოვზედ გამოგზავნე ფულები, იმისი ბინა თამამშოვის ქარვასლაში არის. თუ არ დაგზარდება, იმასთან შეიარე და მიიღებ 707 მანეთს, რომლისგანაც მოახმარებ 700 მანეთს თეატრის საქმეს და 7 მანეთს „ივერიის“ რედაქციას გადასცემ წლევიანდელი წლის ფასს“ [17, 109].

მიუხედავად დიდი ნიჭის და შრომისმოყვარეობისა, მოსკოვის სამეცნიერო წრეებში მოპოვებული ავტორიტეტისა, ილია ოქრომჭედლიშვილი უცხოობაში ბედნიერი არ იყო. ამაზე მეტყველებს მი-

სი გულახდილი წერილი ილიასადმი, სადაც ძველ მეგობარს თავის უსათუთეს გულისნადებს ანდობს და ისეთ განცდებს უზიარებს, ყველასთან რომ ვერ იტყოდა: „საყვარელო ძმაო ილიკო! ასჯერ და ათასჯერ გარდაგიკოცნი მშვენიერს პირს იმ მშვენიერი და ჩემი გულის დამაცხრომელი წიგნის მონერისათვის. შენ არ გამოგიცდია ყარიბობა, ყარიბობა არათუ უცხო ქვეყანაში ყოფნობისა, ამასთან გულის ყარიბობა! სიტყვით არ შემიძლიან ავწერო ეს მყოფობა. წარმოიდგინე უდაბნოში მავალი კაცი, რომელიც გაცეცეებული თვალებით ეძებდეს მწვანე ბალახს ანუ ხეს და მშრალი ქვიშის მეტს ვერას ხედავდეს. აქ მყოფობა ჩემი გულისათვის ამნაირია. ცოლიცა მყავს, პატიოსანი და ნიჭიერი შვილიც, რომელიც მეტისმეტად მიყვარს, საქმეებიც ურიგოდ არ მიდიან, მაგრამ გული მაინც ყარიბობს. წიგნებიც ბევრი მომდის, თვით საქართველოდან, უცნობებისა და ნაცნობებისაგან, ისე ბევრი, რომ მეოთხედიც საკმარისი იქნებოდა, რომ ყარიბობა დამავინწყოს, მაგრამ ეს სულ უდაბნოს ქვიშა არის, შენი წიგნი კი იმ უდაბნოს ხე და იმისი ჩრდილია ჩემთვის. ათას და ათიათას მადლობას გითვლი, არ დაგიმაღავ, არც ბოდიშს მოვითხოვ, რომ უკანასკნელი ჩემი წიგნი წყენით იყო მონერილი, მაგრამ უდაბნოში წამდაუნუმ ჩრდილის მძებნელს და ვერმპოვნელს სულმოკლეობა და მოუთმენლობა მომაკვდავ ცოდვად არ უნდა ჩამოერთვას“ [17, 170].

ილია ოქრომჭედლიშვილი საქართველოში 1889 წლის თებერვალში ჩამოვიდა. მის დაბრუნებას იტყობინებოდა გაზეთი „ივერია“. უნდოდა სამშობლოში ეღვანა და ყველაფერი, რასაც აქ ხე-ტყის მრეწველობის გაჩაღებით იშოვიდა, ქართველი ახალგაზრდების განათლებისა და ქვეყნის წინსვლის საქმისთვის მოეხმარა.

უეცრად გარდაიცვალა, 1898 წლის 3 იანვარს. ბევრი ცრემლიც გაიყოლა და გულისწყვეტაც.

ილია ჭავჭავაძემ ვრცელი ნეკროლოგი გამოაქვეყნა იმ ადამიანზე, ვინც ასე უყვარდა და ეიმედებოდა, ვისი ცხოვრებაც კარგად იცოდა და ეამაყებოდა ამგვარი ნიჭიერი და ბეჯითი, საკუთარი ძალით გზის გამკაფავი ქართველი, სამაგალითოდ უსახავდა მას ახ-

აღგაზრდობას. დიდმა მწერალმა სხვა კორესპონდენტებს კი არ დაავალა, თავად დაწერა მოულოდნელად გარდაცვლილი სახელოვანი თანამემამულის ნეკროლოგი. მასში კარგად ჩანდა ყველა ის ნიჭი და თვისება, ამ გამორჩეული ბედის ადამიანს რომ ჰქონდა.

### **დასკვნა**

- ◆ ილია ოქრომჭედლიშვილი იყო 60-იანელთა თაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, რომელმაც ჰუმანიტარულ დარგში სამეცნიერო მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ილია ჭავჭავაძის ნაციონალური პროექტის განხორციელებაში, ქართველი ერის იდენტობის შენარჩუნებასა და საქართველოს ისტორიული წარსულის აქტივაციის გზით ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების გაზრდაში;
- ◆ მართალია, ილია ოქრომჭედლიშვილ-სერებრიაკოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა – „თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში“ დაკარგულია, მაგრამ ნაშრომის ხელმძღვანელის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – დავით ჩუბინაშვილის თვალსაზრისი ამ გამოკვლევაზე ნათელს ჰფენს მის მაღალ სამეცნიერო ღირებულებას, რის გამოც მკვლევარი დატოვეს ლაზარევის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში სამუშაოდ;
- ◆ პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწე სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად, ილია ოქრომჭედლიშვილ-სერებრიაკოვმა დიდი დახმარება გაუწია ახლად დაწყებულ, ქართული ისტორიული მეცნიერების აღორძინების საქმეს, მისი ნიჭი და მეცნიერული შესაძლებლობები კარგად იცოდა ილია ჭავჭავაძემ, რის გამოც „ქართველი ხალხის მომავლის გასაუმჯობესებლად“ შექმნილ მის პირველ ჟურნალში – „საქართველოს მოამბე“ – დაბეჭდა სხვა გამოჩენილ ქართველ სწავლულებთან ერთად მისი ვრცელი გამოკვლევა – „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს“ („საქართველოს მოამბე“, 1863 წლის №6). წერილში ჩანს საკვლევ პრობლემაში ავტორის საკმაოდ ინ-

ფორმირებულობა, სომხეთის ისტორიისა და კულტურის კარგი ცოდნა.

- ◆ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწეობისას მან ბევრი გააკეთა ქართული საისტორიო სიძველეების გამოსავლენად, იქნებოდა ეს სამეცნიერო ექსპედიციების დაფინანსება, ევროპელ მეცნიერთა შორის საქართველოს ისტორიის პოპულარიზება, თუ რუსეთის მაღალი სამეცნიერო საზოგადოების ინფორმირება საქართველოს უძველესი კულტურისა და ისტორიის საკითხებში. ამის ერთი დამადასტურებელი ფაქტია ოქრომჭედლიშვილის მიერ თბილისში რუსეთის იმპერიის არქეოლოგთა V ყრილობის ჩატარების ორგანიზება და პირადად მისი გამოსვლები ყრილობაზე;
- ◆ საქართველოს ისტორიული წარსულის გაყალბებისა და მის წინააღმდეგ მოწყობილი კამპანიის აგორების პირობებში, დიდი როლი ითამაშა ილია ოქრომჭედლიშვილის არმენოლოგიური ხასიათის ნაშრომებმა. ამ მიმართულებით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სომხურ-ქართული ურთიერთობის კვლევებში. მისი ნაშრომები – „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველისძველი ისტორიისა“, „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“, „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები“. და სხვ., საინტერესო ინფორმაციებს იძლევა ორი ქვეყნისა და ხალხის ისტორიული წარსულის, მათი ეთნოგენეზისა და კულტურული განვითარების შესახებ;
- ◆ ილია ოქრომჭედლიშვილის ნაშრომებისთვის დართული შენიშვნები რუსული, სომხური, ფრანგული და გერმანული ისტორიული წყაროების შესახებ მაჩვენებელია იმისა, რომ ქართული საისტორიო აზროვნების განვითარება XIX საუკუნის ბოლოს უკვე ახალ საფეხურზე იყო ასული და შეესაბამებოდა ევროპული საისტორიო მეცნიერების სტანდარტებს;
- ◆ ილია ოქრომჭედლიშვილმა გაზარდა ქართველოლოგთა მთელი თაობა, დაეხმარა მათ – გამოემუშავებინათ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის როგორც ეროვნულ, ასევე, საკაცობრიო ქრილში გააზრების უნარი.

- ◆ ილია ოქრომჭედლიშვილი გამოირჩეოდა მეცენატობითაც. მან დიდი დახმარება გაუწია ცნობილ მხატვრებს – გიგო გაბაშვილს, მოსე თოიძეს, ალექსანდრე ბერიძეს და სხვებს. 1884 წელს მისი ხელშეწყობით გამოიცა „ვისრამიანი“. მან ასევე დიდძალი თანხა მოახმარა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს, ქართულ თეატრს, ქართული ხელნაწერების გამოცემას.
- ◆ მართალია, ილია ოქრომჭედლიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა, საისტორიო ნაწერები ბევრი არ იყო, ამ ადამიანმა ნიჭი და ენერჯია მრავალი მიმართულებით დახარჯა, მაგრამ მისი ჩვენამდე მოსული შრომები, მისი სტატიები და რეცენზიები არის პროფესიული სიღრმით შესრულებული და გარკვეული ეროვნული ფუნქციის მატარებელი. ყველაფერი, რაც მის დაულალავ ქველმოქმედებასა და ქართული ეთნოკულტურული ღირებულებების გადარჩენაში მონაწილეობას უკავშირდება, ჩართული იყო XIX საუკუნის 60-იანელ მოღვაწეთა დიდ ნაციონალურ პროექტში და მიზნად ისახავდა დაპყრობილი საქართველოს გამოხსნას, მისი სახელმწიფოებრივი ფუნქციის აღდგენასა და მომავალ ისტორიულ-კულტურულ აღორძინებას.

### დამონშებული წყაროები და ლიტერატურა:

1. შალვა გოზალიშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976.
2. ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 18 ივნისი, №6, 1863.
3. ი. ოქრომჭედლიშვილი, „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?“, ჟურნალი „ივერია“, №10, 1881.
4. И. Л. Окрочедлов, (Окрочедлоишвили), Об изобретения грузинского алфавита, Труды V Археодогического Съезда в Тифлисе 1881, под редакцией графинии Уваровой, предисловие, стр.02-06. XXXIX, X, II, 221-229, Москва, 1887.

5. გაზეთი „დროება“, №192, რუბრიკა – „ახალი ამბები“, 1881.
6. მოსე ჯანაშვილი, „რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი (ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო – „ვინ მოიგონა ქართული ანბანი?“), გაზეთი „ივერია“, 1887.
7. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მიქაელ ჩამჩიანის სომხეთის ისტორიის ქართული თარგმანი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბილისი, 1935.
8. Церетели Г., 1881, Заметки Подготовительного комитета к археологическому съезду, М. 1881.
9. ალ. ხახანაშვილი, გაზეთი „ივერია“, 14 იანვარი, №9, 1898.
10. ილია ოქრომჭედლიშვილი, „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის ძველის ისტორიისა“, თბილისი, 1890.
11. ივანე ჯავახიშვილი, „ქართული პალეოგრაფია“, თბილისი, 1949.
12. ი. ოქრომჭედლიშვილი, „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები“, გაზეთი „ივერია“, №№194, 197, 200, 1887.
13. ილია ოქრომჭედლიშვილი, „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის-ძველ ისტორიისა“, გაზეთი „ივერია“, №36, 1890.
14. ილია ოქრომჭედლიშვილი, „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის-ძველ ისტორიისა“, გაზეთი „ივერია“, №42, 1890.
15. ილია ჭავჭავაძე, სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი, გაზეთი „ივერია“, №70, 1899.
16. ალ. ხახანაშვილი, „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“, თტფილისი, 1890.
17. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი XVII, ეპისტოლური მემკვიდრეობა, „ილიას ფონდი“, თბილისი, 2012.
18. გაზეთი „დროება“, 1869.
19. გაზეთი „შრომა“, №6, 1881.
20. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, №170.

**Dodo Chumburidze**

Doctor of historical sciences, Professor,  
Senior Research Fellow at the Tamaz Be-  
radze Institute of Kartvelology, Universi-  
ty of Georgia

## **Ilya Okromchedlishvili-Serebryakov (1838-1898) and Georgian Historical Thought of the Second Half of the 19th Century**

### **Summary**

Ilya Okromchedlishvili was one of the active representatives of the generation of the 1860s, a historian who played an important role in the implementation of the national project of Ilya Chavchavadze, preserving the identity of the Georgian nation and strengthening the national-liberation spirit of the Georgian people through the activation of the historical past of Georgia. Along with other Georgian scientists working at St. Petersburg University, Ilya Okromchedlishvili-Serebryakov provided great help to the beginning of the revival of Georgian historical science. Ilya Chavchavadze was well aware of Ilya Okromchedlishvili's talent and scientific abilities, and therefore, in his first journal, created „to improve the future of the Georgian people“, – „Georgian News“, together with other prominent Georgian scholars, he published Okromchedlishvili's extensive study, „A Brief Discussion on the Successes of the Armenian Language in Modern Times“ („Georgian News“, No. 6, 1863). The letter testifies to the sufficient knowledge of the author in the problem of research, good knowledge of the history and culture of Armenia. During his work at the Petersburg Academy of Sciences, he did a lot to identify Georgian historical antiquities, whether it was financing scientific expeditions, popularizing Georgian history among European scientists, or informing the high scientific community of Russia about ancient Georgian culture and history. One of the facts that confirms this is the organization of Okromchedlishvili V congress of archeologists of the Russian Empire in Tiflis and his personal speeches at the congress; In the conditions of the falsification of the histor-

ical past of Georgia and the scope of the campaign against it, the Armenian work of Ilya Okromchedlishvili played a big role. In this direction, he made a significant contribution to the study of Armenian-Georgian relations. His works are „To the ancient history of Georgians and Armenians“, „Who invented the Georgian alphabet“, „Historical-bibliography articles“. and others, give interesting information about the historical past of two countries and peoples, their ethnogenesis and cultural development. Notes to the works of Ilya Okromchedlishvili, dedicated to Russian, Armenian, French and German historical sources, testify that the development of Georgian historical thought reached a new level by the end of the 19th century and met the standards of European historical science; Ilya Okromchedlishvili raised a whole generation of cartologists, helping them to develop the ability to understand the historical past of the Georgian people both in the national and in the general human context. The works of Ilya Okromchedlishvili, his articles and reviews, which have come to us, are made with professional depth and carry a certain national function. Everything related to his unceasing philanthropy and participation in the preservation of Georgian ethno-cultural values was included in the great national project of the leaders of the 1960s and was aimed at the liberation of occupied Georgia, the restoration of its state function and the future historical and cultural revival.